სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/142

ქ. თბილისი

18 სექტემბერი 2020 წ.

„2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს #01-05-04/125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის შესაბამისად, სტუ-ს რექტორის მოადგილის, gadოქტორანტურაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის საუნივერსიტეტო კომისიის თავმჯდომარის, ბატონ ზურაბ გასიტაშვილის 2020 წლის 18 სექტემბრის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 სექტემბრის №01-05-02/26 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის საუნივერსიტეტო კომისიაზე შესული განცხადებების განხილვის შედეგად, შეტანილი იქნეს ცვლილება „2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს #01-05-04/125 დადგენილებაში და დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (დანართი 1)

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე